# როგორ დავრგათ ხეები სწორად

შემოგვიერთდი



# SPARE

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციის კავშირი მდგრადი განვითარებისათვის „ეკოხედვა/Ecovision” მიერ ენერგიისა და რესურსების გამოყენების საერთაშორისო სასკოლო პროექტის „SPARE” ფარგლებში.

ავტორი: ნინო სულხანიშვილი
კონსულტანტი: გია სოფაძე
რედაქტორი: ქეთევან ჟვანია
დიზაინერი: თამარ გრძელიძე

2017 წელი, თბილისი

ecovision.ge

NORGES NATURVERNFORBUND

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

www.spareworld.org
www.ecovision.ge

# ყველაფერს თავის წესი აქვს!



# მოდი, დავიწყოთ!




დათუნა, რა ხდება?!
ამჯერად რაღა მოიგონე?!
რა ვიცი, ტყე მინდოდა გამეშენებინა და... თურმე რაღაც წესები უნდა ვიცოდე, სულ დავიბენი! ხედავ, რა დღეში არიან?!
მე ვიცი! ნინი, დათუნა, მომყევით!
როგორ უნდა დავრგათ ხეები სწორად
giz
HELP!
ჯერ ისწავლოს,
მერე ეცეს თოხს და ბარს!!!
HELP!


SAVE PLANET
SAVE PLANTS



## აბა, დავიწყოთ!

## გახსოვდეთ!

# მთავარი ფესვია!

1. არ დააზიანოთ ფესვი მექანიკურად მცენარის ამოღებისას!
2. არ ამოიღოთ ფესვი დარგვამდე დიდი ხნით ადრე, რომ არ გამოშრეს!
3. არ დააზიანოთ ფესვი ტრანსპორტირებისას!



## ფრთხილად!



მზისა და ქარის უშუალო ზემოქმედების ქვეშ ფესვი შეიძლება მოკვდეს **5** წუთში!




ფრთხილად!
20
იანვარი
ყინვაა და არავითარი დარგვა!

# არ აგერიოს დარგვის დრო:

## შიშველფესვიანი მცენარეები უნდა დაირგას განსაზღვრულ დროს!



შემოდგომაზე

ადრე გაზაფხულზე



შემოდგომაზე



წიწვოვანი მცენარეები უნდა დაირგას მიწით

ფოთლოვანი მცენარეები

წიწვოვანი მცენარეები






## აუცილებელია:




### 1

**დასაწყობება:**

ნერგები უნდა მოვათავსოთ ჩრდილში!





## 2 დატენიანება:

ნერგები უნდა მოვრწყათ!





## 3 დროებითი თავშესაფარი:

უნდა გავაკეთოთ თხრილი და ნერგების ფესვები დროებით დავფაროთ მიწით!






**სასურველია, ტომარა იყოს:**

შიდა მხარეს მუქი ფერის, გარედან კი ღია

## გახსოვდეთ!

კონტეინერის მცენარეებს არ სჭირდებათ დროებითი თავშესაფარი, მაგრამ ჩრდილი უნდა ყველას!




სანამ დარგვას დაიწყებდეთ
საქონლისგან დაცვის მიზნით შემოღობეთ ტერიტორია!
ზოდიში, ვერ მოგართვით ნერგების ხრამუნი!
ოჰო, კარგად გიმუშავიათ, ბიჭებო!




# შეჩერდი!

თუ ორმოს დარგვამდე დიდი ხნით ადრე ამოვთხრით, შეიძლება გამოშრეს და ბუნებრივი დატენიანება გართულდეს.




დაიცავი ნერგებს შორის მანძილი, რომ გაგიადვილდეს მათთან მიდგომა და მოვლა.



## გახსოვდეს:



# დარგვის წინ ნერგი



დაიცავი გამოშრობისგან! **1**

მოათავსე წყლით სავსე სათლში! **2**

ამოიღე უშუალოდ დარგვის წინ! **3**



## ფრთხილად!

**დრო წყლიდან ამოღებასა და ჩარგვას შორის მაქსიმალურად მცირე უნდა იყოს.**



# დარგვის დროს

## გახსოვდეს:

ფრთხილად დააყარე ფესვს ორმოდანვე ამოღებული მიწა!

2



არ დააზიანო ფესვი!

1



კარგად დატკეპნე მიწა ფესვის გარშემო!

3



**ფრთხილად!**

**არ ჩარგო იმაზე ღრმად, ვიდრე სანერგეში იყო!**

# მცენარეების ხარისხი:




ევროკავშირის სტანდარტის მიხედვით, ნერგს უნდა ახლდეს ინფორმაცია სახეობის, ასაკის და წარმომავლობის შესახებ

## ძირითადი მოთხოვნა

1. ფოტო 3x4
2. დაბადების მოწმობა
3. ჯანმრთელობის ცნობა






# სამუშაო იარაღები:

1. ბარი
2. თოხი
3. მსხვილი ბურღი
4. წვრილი ბურღი
5. ხმის დამხშობი
6. თოკი
7. ტომარა
8. სათლი
9. საზომი
10. ნაჯახი
11. ჩაქუჩი
12. ხელთათმანი






# გახსოვდეთ! ეს მნიშვნელოვანია!

- მცენარე, რომლის დარგვაც ვერ ხერხდება მცირე დროში, დროებით მიწაში უნდა ჩაირგოს, რომ ფესვი არ გამოუშრეს;
- ნერგის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სპეციალური ტომრით ან სათლით;
- დაცული უნდა იყოს ნერგებს შორის მანძილი, რაც აადვილებს მათთან მიდგომას და შემდგომ მოვლას;
- მცენარეთა ფესვების ფორმა და სიდიდე განსაზღვრავს ჩასარგავი ორმოს ზომებს;
- ფესვები იმ სიღრმემდე უნდა დაიფაროს მიწით, სადამდეც სანერგეში იყო ჩარგული;
- ნერგები კარგად უნდა ჩაიტკეპნოს მიწაში, რადგან ფესვებთან დარჩენილი ჰაერი ხელს უშლის წყლისა და საკვები ნივთიერების შეთვისებას;
- დატკეპნისას არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვები;
- იმისათვის რომ მცენარე კარგად გაიზარდოს, ორმოს უნდა მოვაცილოთ ყლორტები, ტოტები, ბალახი;
- ორმო რომ არ გამოშრეს, უშუალოდ დარგვის წინ უნდა ამოვთხაროთ.






თუ დაიცავთ ყველა წესს,
გაიხარებს თქვენი ტყეც!




www.spareworld.org
www.ecovision.ge